

ჩემი სინათლე

კიოლნი–მიმოხილვა–ლ
ამპარი

იოსეფ შტრაუ

2006

ჩემი სინათლე

უკვე რამოდენიმე კვირაა ვგეგმავთ, რომ შუადღეს გარეთ გავიდეთ და ცოტაოდენი სინათლე მოვძებნოთ.
ეს კიბის უკუნეთი ისეთი ბნელია, მაგრამ ფანჯარაში ცოტაოდენი შუქის დანახვა შესაძლებელია. სინათლე ზედმეტად სუსტი და ზარმაცი გახდა იმისთვის, რომ შუშის გავლით მაინც შემოვიდეს ჩვენს სახლებში.
საღამოობით, როცა ერთმანეთს ვხედებით, ძირითადად იმაზე ვლაპარაკობთ თუ რა ფერი აქვს რეალურად იმ პატარა სინათლეს რომელიც ჯერჯერობით შემოგვრჩა.
ჩვენ ვამბობთ ეს არის სინათლე, მაგრამ არ არის შორს ჩვენგან და გვჯერა, რომ ეს წინადადება ყველაზე კარგად ასახავს რეალობას.
მე ადრე ვამბობდი, რომ თუ ზოგჯერ ცას აქვს ფერი, ის ყვითელია, როგორც ნიკოტინი, მაგრამ ეს გამოთქმა არასწორია, იმიტომ რომ სხვები ასეთ ამინდს ადარებენ ყვითელ ფურცლებს და ჩამქრალ ტექსტს.
თუმცა
ჩვენი ცა უფრო სველი ბეწვია, რომელიც ცდილობს გაგვათბოს და სველ დღეებში, როცა ბეწვი ძალინ დაბლა ჩამოდის და ხდება სველი და mZime, ცარიელი ხეები მის დამჭერ კოლონებს ემსგავსება. სინათლესთან ერთად დროის შეგრძნება იკარგება, როცა გადახლართული და უკეთური სურვილების ასრულებას ვუნდებით.
ერთადერთი შესვენება, რომელიც გვაქვს ამ უსასრულო, „უდროო" პერიოდებში, არის ფეხბურთის მატჩის მოლოდინი
ცივ, წვიმიან სტადიონზე, ან სახლში ჩვენ ვუყურებთ სტადიონის სინათლეს, რომელსაც ნისლიანი, ცივი, გაყინული ჰაერი ფარავს.
განა ეს არის მოწოდება იმისკენ, რომ იყო ხამურიანი და გაბრაზებული მთელი შენი ძალაუფლებით
გულშემატკივრებისთვის უაზრო შეზღუდვების და სულელური რჩევების გარეშე„ღმერთო, გადაარჩინე ის და ჩვენ მოვკლავთ ყველა დანარჩენს."

ბებერი ალვის ხე ირხევა და სველდება ბეწვის წმენდისგან.
ნამდვილი წვიმა არც არასდროს მოდის, მაგრამ შავი ბრჭყვიალა ქვები ქუჩებში არასდროს შრება.
ჩემს ახალ მეგობარს ვუყურებ, მის ხელებს, სუსტი წინააღმდეგობა უფერულდება და ის ამბობს:
„ჩემი ხელები დიდია, თითები მსუქანი და შესიებული, დაღრეცილი და უკეთური.
არანაირი დანები ან რკინის ჯოხები, ჩემი ჩანთა შხამიანი გველებითაა სავსე.”

ჩ.

ნამდვილად, ეს ადგილი იყო საუკუთესო ადგილი.
ის იყო
არანაყოფიერი, უარი, ჰაბიტუსი
სოციალური ცხოვრება, სივრცე, ძალადობა, უარყოფითი

საშიში საქმის სიმცირე,

ეს იყო ადგილი
რომელიც უმწეო ხელოვანს მოსიყვარულე პატივისცემას და სიახლოვეს უქადს.

ჩ.

შენი გატეხილი შავი ხელჩანთა იყო გაძეძგილი
პირადი შიშის ეაკუუმით, უმნიშვნელობის და უაზრობის
ნარცისეული გაერცელებით და ყველაზე უფრო უხილავი
იერისით.

„მე შენ მოგეცი ყველაფერი და ეხლა მე ვარ არაფერი,
როცა შენ გაიხდი ტანსაცმელს,
როცა შენ შეხედავ შენ თავს საფლავიდან
კიოლნი, ორი ევრო და ოცი რაღაც
მე დავიღალე შენი უაზრო მოთხოვნებით.“

ნუთუ შენ არ გახდი ჩემთვის გამოთქმის მსგავსი
ხელოვნების გარკვეული მიდგომისთვის, რომელიც ზოგჯერ მე
აქ მაკლია. მაგრამ, ზოგჯერ მე საკმაოდ გახარებული ვარ რომ
ამან დაკარგა თავისი რეალურობა და გავლენა და გადაიქცა
თითქმის წარმოუდგენელი მოგონებების სახეობად.
რომელიც შენი „ტიპიური” შეპყრობილობაა სხვისი კრიტიკითა
და განსჯით,
რომელსაც მე ვხედავ მარტო მაშინ, როცა ვარ შენთან.

მაგრამ შეიძლება ამის მოტივი გამოხატვის მარტივი შიშია, თუ რაღაც.

თავის არიდება

ცხოვრება, ყვირილი,
რეალობა,
ტელეპატიური კურატორობის თეორია.

საერთო წარმოების კურატორობისათვის თავის არიდება.

ნამდვილად შენ იყავი საუკეთესო ადგილი არანაყოფიერი ხელოვანისათვის, ძალდატანების ნაცვლად აივსო მისი წამება მოსიყვარულე პატივისცემითა და სიახლოვით.

C.

შენ ხარ, შენ ხარ დამტარებელი, მელანქონიის დამტარებელი,

შენ ხარ მტვრევადი პლანეტა.

ჩვენ შეგვეძლო გვეთამაშა უნაყოფო გამოთქმებით, ნამუშევრებიდან ფრაგმენტები გამოგვეყენებინა, მაგრამ ჩვენს ზეპირ გამონათქვამებში უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება, თავი მოვაჩვენოთ, რომ ჩვენ ძირითადად სივრცის მოდელებს ვაჩვენებთ და არა გარკვეულ ნამუშევრებს სივრცის შიგნით. მე არ ვფიქრობდი, რომ სხვა დროს და სხვა ადგილას ჩვენ შევძლებდით ხალხის ასეთი ყურადღების მიქცევას ასეთი ცარიელი სივრცით. ზოგჯერ ვფიქრობთ, რომ თეორიული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხელოვნების აღქმა უნდა გადავიტანოთ ნამუშევრიდან ან პროდუქტიდან მის სოციალურ გარემოზე იყო

ნამდვილად, კიოლნი იყო საუკეთესო ადგილი, გარკვეული მოსაზრების გათვალისწინებით.

– ეს ალბათ იყო სახეცვლილი ფეტიშიზმის მსგავსი მიდგომა ხელოვანის საჯარო ცხოვრებისადმი, მაგრამ რეალურად არ ქმნიდა არანაირ ხელოვნებას, ან ყოველშემთხვევაში არ წარმოადგენდა მას. მის მოტივაცია, ერთის მხრივ, უბრალოდ გამოხატვის შიში, მეორეს მხრივ რადიკალური შედეგების მიღების სურვილი, რასაც ბევრი თეორია ავტორის პიროვნების მოკვდინებითა და განადგურებით გვირჩევს. ნამდვილად, ის უნაყოფობის მდგომარეობა გვიანდელ 80 – იანებში, რომელიც თავისთავად იყო 90 – იანების ხელოვნების შთაგონება, იყო თვით გარდასახვის მიდგომა. თუმცა ზოგიერთი ბურჯუაზიული მიდგომის მქონე კარგად ნაკვები პიროვნება აკრიტიკებდა თეორიული და რადიკალური კონცეპტუალური ხელოვნების ძლიერ საფუძველს. სუბსტანცია ხელოვანის, როგორც ხელოვნების შემქმნელის თვითგამოხატულება, სოციალური ხელოვნების სფეროში შეიცვალა წმინდა ბოჰემური ხელოვანის ქცევით, რაც იყო რეაქცია 80 – იანი წლების სამსახურებრივ ღირებულებებზე და გამოიწვია ძალიან მჯიდრო სოციალური გარემო, რათა ეთამაშა ნაწილობრივ სცენური იმპულსები. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობას არ ექნებოდა ხალისი თავის ყველა შესაძლებლობაში, რომ უბრალოდ არაფერი არ აკეთო ან როგორღაც შეაშინო პროფესიონალური გარემო „შექმნაში" ინტერესის ასეთი სიმცირით ან შეაშინო სხვები რაღაც დაპირებებით მომავალში ნამდვილის „შექმნით".
ძალიან ძნელია ახსნა ამ მიდგომის ძალა ისეთი მოძველებული და ძველი მეჩვნება ის დღეს.

– მოკლედ, კიოლნში ანტი-პროდუქტიული მიდგომის პოპულარობა იყო ალბათ გარკვეული ხატმებრძოლეობის ტენდენციის შედეგი. თანაგრძნობა იმ მიდგომის მიმართ, რომელიც გამოსახულების ხარისხს ნარატიული მიდგომით ჩაანაცვლებს. თავის საუკეთესო წლებში არა-პროდუქტიულმა ხელოვნებამ მიიღო დიდი აღიარება, თუ ის თავის ნამუშევრებს თავისი პირადი ნარატივით შეცვლიდა. თავის საუკეთესო მომენტებში ის იყო კუნძული ხელოვნების ძირითად სამყაროში და ინახავდა ტრადიციული უხილავი ერესის უწყვეტობას. ამ გაგებით ანტი-პროდუქტიული მიდგომა იყო გარკვეულწილად ხატმებრძოლეობის-დისციპლინა.

– მაგრამ შემდეგში დროის გამანადგურებელი ეფექტი მეტად ძლიერი აღმოჩდა ამ ლერწამზე და თეორიულად საკმაოდ მიმზიდველ მიდგომაზე, რითაც მომავალში შექმნა რაღაც ბნელი ეფექტი ხელოვნების წრეებში. როგორც ყოველთვის განმანთავისუფლებელი მოძრაობა გადაიქცა რეპრესიულ ძალად, რომელმაც გამოამჟღავნა მექანიზმი, რომელშიც ფორმები კარგავს მიზანს და ქმნის ღირებულებების სისტემას და შედეგია პოლიტიკური ქცევა, რომელიც თავისმხრივ არის უშნო და სასაცილო და ანადგურებს სირცხვილს და სუბიექტურობის თვისებებს, რითაც ცვლის მათ ლეგიტიმურობის მოთხოვნით და ადამიანებით, რომლებიც ვალდებულნი არიან მუდმივად განსაჯონ სხვები რათა დაიმკვიდრონ საკუთარი ადგილი.

იქნებ ეს იმიტომ მოხდა, რომ ბევრი ფსიქოლოგიური ტენდენცია ამ ნახევრად გლამურულ მიდგომის უკან, რომლითაც მე ასე ვისიამოვნე, დაფარული, გამოუმჟღავნებელი დარჩა. ან როგორც მე ვთქვი ეს იყო ნამდვილი გამოხატულების შიში ან ყველა სახის შიშები, რომელსაც მე ვერასდროს ვერ გადმოვცემ კოლექტიური თვით-ცენზურის ქმედებით.



* * * * *